Caritas
Czech Republic

CARITAS CZECH REPUBLIC IN GEORGIA
8 Kartozia Str. Bldg. IV, Ent.1, Apt.24, Tbilisi, 0161
E-mail: ccrg@caritas.cz
Tel: 577 449 191
www.georgia.charita.cz
www.facebook.com/CCRGeorgia2015

თბილისი, 25 ნოემბერი, 2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს

ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ჩვენმა ორგანიზაციამ "საქართველოს ექთნების ასოციაციასთან" თანამშრომლობით მოამზადა და განაახლა ორმოცი პედიატრიული საექთნო პროტოკოლი, რომლის პრაქტიკაში გამოყენება და დანერგვა დაეხმარება სამედიცინო დაწესებულებებს ინფექციის კონტროლის და პედიატრიული პაციენტების მოვლის ხარისხის უზრუნველყოფაში. მოგეხსენებათ, ეს თემები განსაკუთრებით აქტუალურია არსებული პანდემიის პირობებში.

პროტოკოლები მომზადებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (ატლანტა, აშშ), ეროვნული გაიდლაინების და უახლესი საექთნო პროფესიული სახელმძღვანელოების საფუძველზე, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის პროექტის ფარგლებში „ბავშვთა ხანგრძლივი მოვლისა და პალიატიური მზრუნველობის სერვისების განვითარება საქართველოში", ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

დანართის სახით წარმოგიდგენთ აღნიშნულ პროტოკოლებს და მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ და დაამტკიცოთ შესაბამისი ფორმით, რაც ხელს შეუწყობს ამ პროტოკოლების საყოველთაოდ დანერგვას პრაქტიკაში და პედიატრიული ჰოსპიტალური სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას.

პატივისცემით,

იან ბლინკა

მისიის ხელმძღვანელი

საკონტაქტო პირი: თამარ კურტანიძე, პროექტების მენეჯერი

Tamar.kurtanidze@caritas.cz 593 314504

Caritas
Czech Republic

CARITAS CZECH REPUBLIC IN GEORGIA
8 Kartozia Str. Bldg. IV, Ent.1, Apt.24, Tbilisi, 0161
E-mail: ccrg@caritas.cz
Tel: 577 449 191
www.georgia.charita.cz
www.facebook.com/CCRGeorgia2015

პროტოკოლების ჩამონათვალი:

1. არასტერილური სამედიცინო ხელთათმანის ჩაცმა/გახდა
2. არტერიული წნევის გაზომვა პედიატრიულ პოპულაციაში აუსკულტაციური, არაპირდაპირი, არაინვაზიური მეთოდით
3. სხეულის ტემპერატურის გაზომვა - აქსილარული თერმომეტრია
4. გლუკომეტრია (გლუკომეტრით სისხლში გლუკოზის განსაზღვრის პროცედურა)
5. დიალიზის კათეტერის მოვლა
6. ელექტროკარდიოგრამის (ეკგ) ჩაწერის ტექნიკა (ბავშვი)
7. ენდოტრაქეალური ინტუბაცია - ექიმის ასისტირება
8. ექიმის ასისტირება ცენტრალური ვენის (ლავიწქვეშა ვენის) კათეტერიზაციის (ც.ვ.კ.) დროს
9. თვალის გამორეცხვის ტექნიკა
10. თვალის მოვლა
11. საიზოლაციო ღონისძიებები (ინფექციის გამომწვევი მიკროორგანიზმების წყაროს იზოლაცია)
12. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება
13. ინექცია კუნთში
14. კანქვეშა ინექცია
15. კანშიდა ინექცია
16. მედიკამენტების ადმინისტრირება ნაზოგასტრალური ზონდის საშუალებით
17. მედიკამენტის ამოღება ამპულიდან და ფლაკონიდან
18. ნაზოგასტრალური ზონდის (ნგზ) ჩადგმა და ამოღება
19. ნაწოლების პროფილაქტიკა და მოვლა
20. პაციენტის დაბანა (სრული დამუშავება) საწოლში
21. პირის ღრუს მოვლა
22. პულსის განსაზღვრა პედიატრიულ პოპულაციაში (ახალშობილი, ბავშვი, მოზარდი)
23. პულსოქსიმეტრია
24. სამედიცინო ნარჩენების მართვა
25. სამედიცინო პერსონალის ხელის ჰიგიენა
26. მწოლიარე პაციენტისთვის საწოლის თეთრეულის გამოცვლა
27. ვაკუტაინერით სისხლის აღება
28. ჟანგბადის მიწოდების სახეები
29. სტერილური ხელთათმანის ჩაცმა/გახდა
30. სუნთქვის სიხშირის განსაზღვრა პედიატრიულ პოპულაციაში (ახალშობილი, ბავშვი, მოზარდი)
31. ტრაქეის სანაცია
32. ფეკალური მასების მიმღების (სუდნო) გამოყენება
33. შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (შბკ) ბიჭებში (ახალშობილი, ბავშვი, მოზარდი)
34. შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (შბკ) გოგნებში (ახალშობილი, ბავშვი, მოზარდი)
35. შარდის ბუშტის კათეტერის ამოღება
36. შარდის ბუშტის კათეტერის მოვლა
37. ცენტრალური ვენის კათეტერის ამოღება
38. ცენტრალური ვენის კათეტერის (ცვკ) მოვლა
39. წვეთების ჩაწვეთება და მალამოს წასმა თვალში
40. წვეთების ჩაწვეთება ყურში